

მთის ვითარება

კარგა ხანია გაზეთების პირით აღარაფერი ისმის მთაზე, თითქო აქ ხალხი არა სცხოვრობდეს, ან არავის რა უჭირდეს, საყურადღებო არაფერი ხდებოდეს. თქვენ სიხარული ბრძანეთ, თორემ საყურადღებო ამბავი და გაჭირვება, რამდენიც გნებავთ, იმდენი მოიკითხეთ. გავიხსენოთ თუნდ შარშანდელი მოუსავლობა: ნაადრევ ყინვებისაგან ჭირნახული დაზრა. უმთავრესი მასაზრდოებელი ფშავ-ხევსურეთისა ქერია და სწორედ ყინვა-ზრობამ მოასწრო მოუმწიფებელ ქერებს და მოშუშა. ხალხი დაიმშა. დაწიოკებული ხალხი ადგენდა განაჩენებს, სთხოვდა მთავრობას დახმარებას. მაგრამ ბედი ჩვენთვის დედინაცვალი გამოდგა: დღესნამდე ეს განაჩენები ჰყრია უმოძრაოდ მომრიგებელ შუამავლის პორტფელში, თუ სანაგვეში, - უფალმა უწყის - და არავითარი ნაყოფი ჩვენთვის არ მოუტანია. ვერ მიაღწია ამ „პრიგოვორებმა“ დანიშნულს მიზანს - ანუ ვიტყვი - მთავრობის ყურამდენაც კი, რადა თუ იცით? რა ჯადო აეკვიატა? არ არის განაჩენები იმ ფორმაზე შედგენილი, როგორსაც თხოულობსო, განგვიმარტა მომრიგებელმა შუამავალმა. მორჩა და გათავდა, გაძღა, მამასადამე, ხალხი და გავძეხით ჩვენც, ხალხის ჭირისუფალნი! ჰოდა რაო? რაკი ფორმაზე არ არის სია დამშეულებისა, მამასადამე აღარავისა ჰშიან და აღარც ვის რა უჭირს!!

წელს უარესობა მოგველის, რადგან უხნავობა იყო უთესლობის გამო, და რაც მოიხნა და დაითესა, არც იმას უჩანს კაი პირი. ამ ჭირს სხვა უარესი შემოსავალი დაერთო ზედა. ხევსურეთს, მაგალითად, მოაკლდა მთების შემოსავალი მეცხვარეობისაგან. მთელი ხევსურეთის მთები ოხრად არის დარჩენილი, რადგან მწყემსს ქისტების შიშით ვეღარ მოუდის მთაში ცხვარი. ან რა სიგიჟე სჭირს, მოვლენ ქისტები და მოსტაცებენ. ამ ბოგანო ხალხმა სწორედ თავზარი დასცა მთელ ფშავ-ხევსურეთს. რაკი მთაში აღარ მოუდისთ მეცხვარეებს ცხვარი, ქისტები, ბრბოებად თავმოყრილნი, სახლებში უხტებიან და მიერეკებიან ქისტეთში აუარებელს ცხვარს და ძროხას, ხოლო პატრონი, მეშველი, არსაიდან არავინა სჩანს. პოლიცია, თამამად ვამბობ, არ არსებობს, ყურს არავინ არ იბერტყავს.

ხალხსაც ვერ მოუვლია თავის თავისთვის. ფშაველები და ხევსურები ქისტების თავიდან ასაშორებლად ძველს, მამა-პაპურს საშუალებას ჰსახავენ: „თუ როგორც ჩვენი მამა-პაპანი ჰლაშქრავდნენ ქისტებს, ჩვენც ისე არ დავლაშქრეთ, ხეირი არ არის, ქისტები არ მოისვენებენ და არც ჩვენ დაგვასვენებენო“. ამასლა ფიქრობს გაბრაზებული და გამწარებული ხალხი და ის კი ავიწყდება, ამგვარ ლაშქრობას რა შედეგი ექნება. ლამის, როგორც თათარ-სომხების ბრძოლის მოწამენი ვიყავით, ისე ფშავ-ხევსურ-ქისტთა შეტაკების მოწამენი შევიქმნეთ. ნუთუ აღარაფერი ეშველება საქმეს სხვა გზით და სხვა მხრით? თუ ყველა თავისებურს საშუალებას ერიდება მთავრობა ქისტების ასალაგმავად, ეს ხომ ადვილია იმისთვის და ფშავ-ხევსურნიც იმის მონატურნი არიან, რომ ქისტეთი მიაწერონ გროზნის ოლქს? მერე ამით განა საქმეს ეშველებაო? იქნება იკითხოთ. ბევრად თუ არა, ცოტარი მაინც მიეცემა მაშინ ფშავ-ხევსურთ საშუალება თავიანთ საკუთრების დაცვისა. მხოლოდ მაშინ დაეკეტებათ ქისტებს საფშავ-ხევსურეთის გზა, და გამოეცლებათ ხელიდან ის საბუთები, რომლითაც მუდამ თავს

იმართლებენ: თიანეთში მივდივარ საჩივრელად ან თიანეთში ვარ დაბარებული; ნამდვილად კი რომ ვთქვათ, საყაჩაღოდ არის წამოსული, და კიდევაც რომ დაბარებული იყოს „სუდში“, ან „ნაჩალიკთან“, შინ რომ დაბრუნდება, დიდი სირცხვილია ხელცარიელი მივიდეს მითხოვნი: უნდა მოიპაროს ცხენი ან ძროხა უსათუოდ ფშავლის ან ხევსურისა. დღეს კი, როცა შესწავლილი აქვთ ყველა გზები და ბილიკები, ბრბოებად დარაზმულნი, მიილტვიან ფშავ-ხევსურეთის ასაკლებად.

სიღარიბესა და უმეცრებაში ჩაფლულ ადამიანისაგან ამის მეტს ან კი რას უნდა მოველოდეთ? ქისტების ორ მესამედს არ მოეპოვება იმდენი მიწა, რომ თავი დაიმარხოს, სასაფლაო უნდა სხვისაგან იყიდოს, მიწები რამდენსამე პირს ჩაუფდია ხელში და ტრადიციით ისე განაგებენ ამ მიწებს, როგორც ხანები თავიანთ ქისტეთს არ ჰღირსებია. მთელ ქისტეთში არ მოიპოვება არც ერთი სკოლა.

ამ მხრივ არც ფშავ-ხევსურეთია სანატრელ მდგომარეობაში. რევოლუციამ ძველ სკოლებს აურია ჟამ-კარი; დაუბნია დავთრები. ორად ორი სკოლა გვქონდა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა და ისიც ლამის ხელიდან გამოგვეცალგოს. რაღა ლამის, ხევსურეთში ბარისახოს სკოლა მოისპო, რადგან ამ ორი წლის წინათ შენობა დაიწვა და ეს სკოლა სხვაგან (უცხო მხარეს) იქმნა გადატანილი. წელს დაიწვა მადაროსკარის (ფშავში) სკოლის შენობა და მასწავლებელი მოსწავლეებითურთ შეეკედლა სოფლის კანცელარიას... აღარ გვაქვს დღეს შენობა სკოლისა და ხომ მოგეხსენებათ - კანცელარიებში რა სწავლაც შეიძლება! როგორც გავიგეთ, მთავრობას განუზრახავს მადაროსკარის სკოლა გადაიტანოს სოფ. ჩარგალში (ფშავშივე), რადგა იქ მოიპოვება სამრევლო თავისუფალი შენობა, რაიც ფრიად მოსაწონი აზრია, რადგან ს. ჩარგალი მცხოვრებლებით უფრო მრავალრიცხოვანია სხვა სოფლებზე და ამასთან უჭირავს შუა გული ფშავისა, სადაც ყოველ მხრიდან შეუძლიან ყველას მიიყვანოს ბავშვი სასწავლებლად.

შირაქში გადასახლებაც შეჩერდა, რაიც დიდს უკმაყოფილებასა ჰბადებს ხალხში. დიად, შეჩერდა მთავრობის განკარგულების წყალობით: ვინც დასახლდა, ისიც მეტია, სხვას ვედარ მიცემთ ნებას დასახლებისასო... ამ სხვებმა რაღა დააშავეს, ალაჰმა უწყის! ახლად დასახლების მსურველთ რადღა უკეტავენ შირაქის კარებს, ეშმაკმა უწყის!..

შუერაცხყოფილნი შირაქში დასახლების მსურველნი აპირებენ მისცენ თხოვნა, საცა ჯერ არს, აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დაცულ იქმნას მათი ისტორიული უფლება შირაქში დასახლებისა. რით დაგვირგვინდება ეს თხოვნა, ამას ბოლო სცნობს.

[1908 წ.]

ფშავ - ხევსურეთი

წარსულს 1907 წ. ფშავ-ხევსურეთში მოუსავლობა იყო. ხევსურეთში ხომ თითქმის სრულიად არაფერი მოვიდა, თესლიც კი ვერ აიღეს. ენკენისთვის პირველ რიცხვებში ყინვები დადგა,

მოუმწიფებელი, ჯერ ისევ ლურჯი, ანუ, როგორც აქ იტყვიან, „შემოუსვლელი“ ქერები დააზრო და გააქარწყლა. სეტყვა ამდენს ზარალს არ მისცემდა, რადგან ერთი რომელიმე კუთხე მაინც გადარჩებოდა, ყინვით კი მთელი ხევსურეთი განადგურდა. არც ფშავს დაადგა კაი დღე. ვინც შეძლებულია იმავ თავით შეუდგა სულადის ყიდვას. ხოლო შეუძლებელი ცას შეჰყურებს მხსნელად, რადგან დედამიწაზე მემველი არ უჩნდება, ესენიც ჰყიდიან უკანასკნელს, რაც კი რამ აბადიათ და მოეზიდებიან სიმინდს ანანურიდან და ფასანაურიდან. ამიერიდან კი აღარ ვიცი, როგორ უნდა მოიტანოს ხალხმა სულადი, თუნდა ფულიცა ჰქონდეს. ზამთარში მთიულეთის არაგვი ცხენით გასვლა-გამოსვლა ადვილია, ხოლო ეხლა გაზაფხული მოახლოვდა, მდინარე აღიდდება, სალთა ცხენითაც კი გაჭირდება და შეუძლებელი გახდება წყალში გასვლა, განალამც საპალნის ცხენით, ხიდი კი არსად გახლავთ. ერთადერთი ჟინვანის ხიდი სრულიად ჩაფუშული და დანგრეულია ისე, რომ მხოლოდ ორი ფიცარია გადებული და ადამიანს თუ შეუძლია გასვლა სალთად, ხოლო ცხენის და რაიმე ბარგის გატანა ყოვლად შეუძლებელია.

ამაზე ხმას არავინ იღებს, ადმინისტრაციაც გაჩუმებულია და ხალხიც. რა მნიშვნელობა ექნება საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებას, ხალხის დახმარებას ფულით, თუ კი ხალხს გზა დაეკეტება სულადის მოსატანად? დღეს დაკეტილად მიგვაჩნია, რადგან ერთადერთი ხალხს სულადის მოსაპოვებლად ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მაზრისათვის - ანანური და ფასანაურია, ხოლო გზა იქ მიმყვანი წყალდიდობის დროს, ერთადერთი ჟინვანის ხიდზე მიდის. მივაქცევთ ვისიც ჯერ არს ყურადღებას ამ ფაქტზე, რათა მიღებულ იქმნას დაუყოვნებლივ სათანადო ზომები.

[1908 წ.]

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა: თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტმა ქეთევან ჯანგულაშვილმა

25 თებერვალი, 2021 წელი